ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №137

2011 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი წლიური სარგებლობის ქირის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის, კვირიკეს თემის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 16,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის საწყისი წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქობულეთის მუნიციპალიტეტის, კვირიკეს თემის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 16,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**